ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7383099

ნომერი: AR11075125

თარიღი : 27.01.2025

გაცემის თარიღი : 18.02.2025

გაცნობის თარიღი : 18.02.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მიხეილ ასათიანის ქუჩა, N 10, კორპუსი 3;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ აბრამიშვილი პ/ნ 01011025815
- თბილისი ძევერას ქ. N 20

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 25 იანვრის №6856762 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 27 იანვარს №AR11075125 განცხადებით მომართა ვლადიმერ აბრამიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 25

იანვრის №6856762 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 25 იანვრის №6856762 ბრძანებით შეთანხმდა №01.10.15.014.030 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 25 იანვრიდან 2027 წლის 25 ოქტომბრის ჩათვლით.
სამსახურის 2024 წლის 18 ოქტომბრის №7254838 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 25 იანვრის №6856762 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული გენ-გეგმა, ასევე, ტექნიკური ნაგებობის და ვენტ-ჯიხურის ნახაზები ჩანაცვლდა 2024 წლის 18 ოქტომბრის №AR11061114 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე გენ-გეგმით, ტექნიკური ნაგებობის და ვენტ-ჯიხურის ნახაზებით.
სამსახურის 2024 წლის 23 დეკემბრის №7329634 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2024 წლის 25 იანვრის №6856762 ბრძანებაში და ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა 22020.4 კვ.მ., ხოლო საერთო ფართობად 35944 კვ.მ.
წინამდებარე განცხადებით განმცხადებელი ითხოვს ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში კომერციულ ფართობად 416.1 კვ.მ-ის ნაცვლად 446.7 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 3235.9 კვ.მ-ის ნაცვლად 3218.8 კვ.მ-ის., დამხმარე ფართობად 813.1 კვ.მ-ის ნაცვლად 799.5 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 35939.2 კვ.მ-ის ნაცვლად 35943.9 კვ.მ-ის დაფიქსირებას. ამასთან, წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმის, - 8.58, -5.28 და ±0.00 ნიშნულების არქიტექტურული გეგმების ჩანაცვლებას. ამასთან, ითხოვს სამსახურის 2024 წლის 25 იანვრის №6856762 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად ცალკე ფართობად დაფიქსირდეს ღია ავტოსადგომების ფართობი 600 კვ.მ.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი არქიტექტურული გეგმები და შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ საპროექტო ტერიტორიის გენერალურ გეგმაზე დატანილია 50 ერთეული ღია ავტოსადგომი, რომელთა ჯამური ფართობი შეადგენს 600 კვ.მ-ს. ამასთან, შეთანხმებული არქიტექტურული გეგმები და საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა არ იცვლება, უბრალოდ ხდება წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 25 იანვრის №6856762 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 25 იანვრის №6856762 ბრძანებაში და ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში კომერციულ ფართობად დაფიქსირდეს 446.7 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 3218.8 კვ.მ., დამხმარე ფართობად 799.5 კვ.მ., ხოლო საერთო ფართობად 35943.9 კვ.მ.
2. ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირდეს ღია ავტოსადგომების ფართობი 600 კვ.მ.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 25 იანვრის №6856762 ბრძანებით შეთანხმებული - 8.58, -5.28 და ±0.00 ნიშნულების არქიტექტურული გეგმები და საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული ამავე ნიშნულების გეგმებითა საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმით.
4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 25 იანვრის №6856762 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
5. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 25 იანვრის №6856762 ბრძანებასთან ერთად.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge